ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №130

2 მაისი 2014წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 ივნისის №166 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 22 აპრილის №01/81862 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 ივნისის №166 ბრძანებაში, კერძოდ, გაუქმდეს ბრძანების დანართის მე–5 პუნქტი გრაფა და შეწყდეს 2013 წლის 24 ივნისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის უძრავი ქონების საკადსტრო კოდი – 28.09.25.050) პირველ სართულზე არსებული 58.80 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 ივნისის №166 ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).
3. 58.80 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის დაბრუნება განხორციელდეს მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარგებლობის უფლების რეგისტრაციის გაუქმების მიზნით შესაბმისი ქმედების გატარება უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ლომთათიძემ (პ/ნ – 46001002560).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*